ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№12 (46) იანვარი, 2006 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე ვარ გზა და კარი, ჭეშმარიტება და ცხოვრება"

მაქსიმეს დღესასწაული

თუ გსურს იპოვო გზა, რომელიც მარადისობაში შეგიყვანს ეძიე იმ გზაზე, რომელიც გეუბნება „მე ვარ გზა და კარი, ჭეშმარიტება და ცხოვრება" (იოანე 14.6. 10.9) და იპოვი მას. მაგრამ ეძიე გულმოდგინედ, რამეთუ „მცირეოდენი არიან რომელნი ჰპოვებენ მას" (მათე 7.14) რადგან სხვაგვარად, ამ მცირედთა შორის დარჩენილი, მრავალთა შორის არ აღმოჩნდე (მაქსიმე აღმსარებელი).

ქრისტიანულ სამყაროს მრავალი წმინდანი ჰყავს, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითია ყოველი ჭეშმარიტი მორწმუნესათვის. ასეთი გახლავთ, სწორედ, ღირსი მამა მაქსიმე აღმსარებელი, რომელმაც არაერთი ტანჯვა დაითმინა უფლისათვის, რადგან „ნეტარია კაცი, რომელიც არ მისდევს უღმრთოთა რჩევას და ცოდვილთა გზას არ ადგას. არ ზის ავყიათა საკრებულოში. არამედ უფლის რჯულშია მისი მისწრაფება და მის რჯულზე ფიქრობს იგი დღედაღამ (ფსლ. 1.1.)

ჩვენი პატარა კუთხე, ლეჩხუმი, ღვთივკურთხეულია, მადლიანია, რადგან სწორედ აქ მურის კლდეკარშია წმინდანის ძვალთშესადაგი ადგილი.

ღირსი მამის, მაქსიმე აღმსარებლის ხსენების დღეს წელინადში ორჯერ აღნიშნავენ ქრისტიანები. 3 თებერვალსა და 26 აგვისტოს.

წელს ჩამოსული მრევლის სიმცირე აშკარად იგრძნობოდა მაქსიმობის დღესასწაულზე. რაც მკაცრი ზამთრით იყო გამოწვეული. საზეიმო წირვა ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში აღავლინა, რომელსაც ესწრებოდა ქუთაისის ავანგარდის ეკლესიის მოძღვარი მამა ილია (კარკაძე), ლენტეხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა იოსები (ნიგურიანი), სოფელ ლასურიაშის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოძღვარი მამა ცოტნე, ზუბის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა გიორგი და სხვა ბერმონაზვნები.

წირვის აღსრულების შემდეგ მეუფე სტეფანეს ლოცვა-კურთხევით მრევლმა, ლიტანიობით, მურის ხეობაში, ღირსი მამის საფლავზე აგებულ პატარა ტაძარში გადაინაცვლა, სადაც მცირე პარაკლისი იქნა აღვლენილი. მდუმარებას კიდევ უფრო ამძაფრებდა ზამთრის სითეთრე. მეტ სიწმინდეს მმატებდა იმ ალაგს. ციმციმებდნენ სანთლები, მორწმუნეთა ბაგეები სავედრებელ ლოცვას ჩურჩულებდნენ. „უფალო, ძალთა! ნეტარია კაცი შენზე მონდობილი".

ეკატერინე ყვირილიანი

ლადო ასათიანის დაბადების წლისთავისათვის

ღიდა ცქიტიშვილს და მუქი ასათიანს 88 წლის წინ ღმერთმა ვაჟი აჩუქა–ლადო ასათიანი. დიდი სიხარულით იდგა მაშინ ასათიანების ფუძეზე...

...მხოლოდ 26 წელი იცოცხლა. 26 წლისა წავიდა ლადო ამ ქვეყნიდან–სიცოცხლით გაუმაძღარი, პოეზიის ჟინით გულანთებული და საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული...

...და დარჩა მარად ყმანვილი, მარად ჭაბუკი, მარად 26 წლისა. მისი სიცოცხლის გაგრძელება მისი ლექსებია, მისი ომახიანი, მადლიანი სტიქონები, მისი ვაჟკაცური, ლამაზი სული.

...ბარდნალა, ასათიანების ეზო-ჯარი. ხვავრიელად ბარდნის თეთრ სამოსში გარინდულა არემარე. ხმიანობს ლადოსეული სტიქონები, ფრთხილად დავაბიჯებთ პოეტის ნატერფალზე, რით მოვეფეროთ ერთხელ კიდევ მის წათელ ხსოვნას, რით მივაგოთ პატივი. მისი ხელნაწერი ლექსები მოვიძიეთ, ფრთხილად ვეხებით. ოქიგინალში უფრო ძალუმად იგრძნობა მისი სულიერი სამყარო, მისი გრძნობა და განცდები.

ცაგერის რაიონის საკრებულოს სხდომაზე

ჩატარდა ცაგერის რაიონის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი **კარლო კოპალიანი**. სხდომას ესწრებოდა მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი **ავთანდილ სილაგაძე**. სხდომის დღის წესრიგი წარმოადგინა რაიონის გამგებელმა ბატონმა **ვახტანგ კერესელიძემ**.

1. ცაგერის რაიონში არსებული სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილების ნორმატივების დამტკიცების შესახებ. 2006 წლისათვის.

2. ცაგერის რაიონის 2006 წლის რაიონული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

3. 2006 წლის 1 იანვრისათვის რაიონულ ბიუჯეტში არსებული ნაშთის განაწილების შესახებ.

გამგებელმა წარმოადგინა

ცაგერის რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილება

ცაგერის რაიონის 2006 წლის რაიონული ბიუჯეტის შესახებ

ცაგერის რაიონის 2006 წლის რაიონული ბიუჯეტი შეიგვნელია „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" „საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, „საგადასახადო არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ", აღგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონების, საქართველოს საგადასახადო, საბაჟო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების, საქართველოს სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების, აგრეთვე ამ და წინა წლების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ტექნიკური მითითებების შესაბამისად

ცაგერის რაიონის საკრებულო გადაწყვეტს:

1. მიღებულ იქნეს ცაგერის რაიონის 2006 წლის რაიონული ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში 819,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები 168,0 ათასი ლარის, არასაგა-

გვ.2

ანონსი, ანონსი, ანონსი

ცოტა რამ სანთელშნიფო ჩეშესტრის შესახებ — გვ. 3

რა არის ფერინვილის გრიპი? — გვ. 3

14 იანვარი – ქართული თეატრის დღე — გვ. 4

ცაგერის რაიონის საკრებულოს სხდომაზე

(დასასრული)

დასახადო შემოსავლები 198,0 ათასი ლარის, კაპიტალური შემოსავლები 23,0 ათასი ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ფინანსური დახმარება 490,0 ათასი ლარის ოდენობით თანახმად №1 დანართისა.

2. მიღებულ იქნეს ცაგერის რაიონის 2006 წლის რაიონული ბიუჯეტით გადასახდელების (ხარჯების) მოცულობა 819,0 ათასი ლარის მოცულობით ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით თანახმად №2 დანართისა.

3. დამტკიცდეს რაიონული ბიუჯეტიდან სოფლებისა და ქალაქის თვითმმართველი ბიუჯეტების თვის გადასაცემი ფინანსური დახმარება 161 165 ლარის მოცულობით №3 დანართის მიხედვით.

4. განისაზღვროს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაფინანსება 63560 ლარის ოდენობით.

სანიტარული მედამხედველობის ინსპექციის სამართლებრივი სტატუსის დადგენის შემდეგ შეტანილ იქნეს ცელილებები ჯანდაცვის ღონისძიებების დარგობრივ დაფინანსებაში.

5. განისაზღვროს მინიმალური სოციალური პაკეტი 57165 ლარის ოდენობით.

მათ შორის:

ა) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 15000 ლარი.

ბ) ახალშობილთა მშობლებს ერთჯერადი ფულადი დახმარება (30 ლარი) 1500 ლარი.

გ) რაიონში მცხოვრებ ხანდაზმულთა (100 და მეტი წლის ასაკის) ერთჯერადი ფულადი (100 ლარი) დახმარება 500 ლარი.

დ) ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურება და დახმარება 1500 ლარი.

ე) ომის ვეტერანთა რაიონულ საბჭოს 800 ლარი

ვ) ომის ვეტერანთა უკვდავყოფისა და მატერიალური დახმარების ხარჯები 17,000 ლარი.

ზ) სოციალური დახმარების მომსახურებისათვის 10560 ლარი.

თ) უმწეოთა უფასო სასადილოს ხარჯები 10307 ლარი.

6. „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 8-ე მუხლით განსაზღვრული უფლებები (ადგილობრივ მმართველობას კომპეტენციას მიკუთვნებული განათლების და კულტურის სფეროს დაფინანსება) 2006 წელს განხორციელდეს ქ. ცაგერისა და სოფლის თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან უფლებამოსილების დელეგირებით ხელშეკრულების საფუძველზე კერძოდ ქ. ცაგერის საკრებულომ განახორციელოს მის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურეობა. ხოლო თემის საკრებულოებმა თავიანთ ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი და კულტურის დაწესებულებების მომსახურება.

7. შეიქმნას ცაგერის რაიონის 2006 წლის რაიონულ ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი 15,0 ათასი ლარის ოდენობით, სახსრების ხარჯვა განხორციელდეს რაიონის გამგეობის დადგენილების საფუძველზე.

8. წინა წლების დავალებების დაფარვა განხორციელდეს დავალიანების დაზუსტებულ ინფორმაციას დადგენილი ფორმით წარმოდგენის შემდეგ საბიუჯეტო დავალიანებათა დაფარვა განხორიცელდეს დავალიანებათა დაზუსტების შემდეგ.

9. წინა წლების წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად გამოყენებული იქნეს 2006 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული სახსრები იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული აღნიშნული მუხლის მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება.

10. დადგინდეს, რომ ბიუჯეტის თანხებით საქონლის, სამუშაოს და მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

11. დაუშვებელია ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურების გაცემა შესაბამისი საშემოსავლო და სოციალური გადასახადის გადახდის გარეშე.

12. ამ გადაწყვეტილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს ცაგერის რაიონის საკრებულოს 2005 წლის 28 თებერვალს №15 გადაწყვეტილება.

13. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ცაგერის რაიონში არსებული სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილების ნორმატივების შესახებ 2006 წლისათვის

„ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონების, „საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 39-ე მუხლის 9-ე ქვეპუნქტის „საგადასახადო არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების განაწილების შესახებ“ კანონის 6-ე მუხლის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს №04-03/51 05.01.2006 ტექნიკური მითითებების შესაბამისად.

ცაგერის რაიონის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს 2006 წლისათვის ცაგერის რაიონში არსებული სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორისშემოსავლების განაწილების შემდეგი წესი:

1. თემის ბიუჯეტში ჩაირიცხოს

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან.

- საშემოსავლო გადასახადი-საკუთრივ ბიუჯეტიდან ფინანსირებადი საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან და ინდ. მეწარმეებიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული ეკონომიკური ნორმატივის 100 პროცენტი, საკრებულოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლებიდან დაწესებული ნორმატივის 100 პროცენტი. ალპანის თემის საკრებულოს ბიუჯეტში ჩაირიცხოს ს/ს „ლაჯანურჰესიდან საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ნორმატივით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის 20 პროცენტი.

ბ) საქართველოს გადასახადი კოდექსით გათვალისწინებული ადგილობრივი გადასახადებიდან.

-ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი 100 პროცენტი.

-ალპანის თემის საკრებულოში ჩაირიცხოს ს/ს „ლაჯანურჰესიდან“ ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის 15 პროცენტი.

-მიწაზე ქონების გადასახადი 100 პროცენტი.

-სხვა ადგილობრივი გადასახადი 100 პროცენტი.

გ) ქ. ცაგერის თემის ბიუჯეტში ჩაირიცხოს „აეროპორტის“ მიწის იჯარიდან შემოსავლები 100 პროცენტი.

დ) თემის საკრებულოს ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, კანონმდებლობით დაწესებული ეკონომიკური ნორმატივის 50%.

ე) თემის ბიუჯეტში იმ გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესის გათვალისწინებით ჩაირიცხება ასევე „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემოსავლები.

2. ქ. ცაგერის ბიუჯეტში ჩაირიცხოს

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან.

-საშემოსავლო გადასახადი ქ. ცაგერის ტერიტაორიაზე არსებული საბიუჯეტო, არასაბიუჯეტო ორგანიზაციებიდან და ინდივიდიალური საწარმოებიადნ კანონმდებლობით განსაზღვრული ნომარტივის 20 პროცენტი.

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ადგილობრივი გადასახადებიდან.

-ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი 100 პროცენტი.

-მიწაზე ქონების გადასახადი 100 პროცენტი.

გ) „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მოსაკრებლები.

დ) ქ. ცაგერის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, კანონმდებლობით დაწესებული ეკონომიკური ნორმატივის 50%.

ე) „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადგილობრივი გადასახადებიდან.

-საშემოსავლო გადასახადი - ს/სლაჯანურჰესიდან 90 პროცენტი, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სამეურნეო და საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან 80 პროცენტი, რაიონის ტერიტორიაზე არსებული ამ გადასახადის სხვა ყველა გადამხელიდან 100 პროცენტი.

ბ) ადგილობრვ გადასახადებიდან

-ს/ს „ლაჯანურჰესიდან“ ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის 85 პროცენტი.

გ) რაიონის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, კანონმდებლობით დაწესებულ ეკონომიკური ნორმატივის 50%.

დ) რაიონულ ბიუჯეტში მოქმედი წესით ჩაირიცხება „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემოსავლები.

4. გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს ცაგერის რაიონის საკრებულოს 2005 წლის 28 თებერვლის №14 გადაწყვეტილება.

5. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან.

2006 წლის დასაწყისისათვის რაიონულ ბიუჯეტში არსებული ნაშთის განაწილების შესახებ

რაიონის საკრებულო აღნიშნავს, რომ ცაგერის რაიონის 2005 წლის რაიონული ბიუჯეტის ნაშთმა 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 74341 ლარი, საიდანაც 57200 ლარი არის რაიონის საჯარო სკოლებისათვის მიღებული ფინანსური დახმარების ნაშთი. ამდენად 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რაიონულ ბიუჯეტში არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთი შეადგენს 17141 ლარს. „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34 მუხლისა და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

ცაგერის რაიონის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. 2005 წლის 1 იანვრისათვის ცაგერის რაიონის რაიონულ ბიუჯეტში არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 17,3 ათ. ლარი მიმართული იქნას შემდეგ ხარჯების დასაფარავად.

ა) „სასწრაფო სამედიცინო სამსახურის 03 ავტოფარეხის შეკეთებისათვის 400 ლარი.

ბ) რაიონული საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტში მიმდინარე სარეზონტო სამუშაოებისათვის 400 ლარი.

გ) ქ. ცაგერის ტერიტორიაზე ქუჩების განათების მოგვარებისათვის (ლამპიონების შეძენა და სხვა), ასევე ე.წ მურის ხიდზე დაზიანებული მოაჯირის შეკეთებისა და განათებისათვის 2500 ლარი.

დ) ცაგერის ვეტერინარული ინსპექციის ტრანსპორტისა და მომსახურებისათვის 500 ლარი.

ე) რაიონის გამგეობის ფუნქციონირებისათვის აუცილებლად საჭირო კომპიუტერული ტექნკის (2 კომპიუტერი, 2 პრინტერი), ქსეროქსი, ვიდეოაპარატურის, მობილური ტელეფონის, ტელევიზორის შეძენისათვის 4500 ლარი.

ვ) სასმელი წყლის საგუმბი ელექტროძრავის შეძენისათვის 1200 ლარი.

ზ) 7641 ლარით ფორმირებული იქნას რაიონულ ბიუჯეტში გარდამავალი ნაშთი.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შენიშვნების და კამათის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ სოფლის საკრებულოების თავმჯდომარეები, ნაირა ბერაძე (საფინანსო განყოფილება), მამუკა ლეთოდიანი (ეკონომიკის განყოფილება), კარლო კვირიკაშვილი (საგადასახადო ინსპექცია) და სხვები, მიღებულ იქნა აღნიშნული გადაწყვეტილებების პროექტები.

თამარ ლავითულიანი

რა მდგომარეობაა ქალაქში?

მპატრი გამთრის ფონგე

ამ დღეებში რუსეთის მიერ ჩადენილმა ვანდალურმა ფაქტმა მთლიანად მოშალა ენერგოსისტემა. დედაქალაქი და ბევრი რაიონი, ფაქტობრივად, შუქის, ბუნებრივი აირისა და ყოველგვარი გათბობის საშუალების გარეშე დარჩა, ამ მკაცრი ზამთრის ფონზე. ინფორმაციისთვის მივმართეთ საკრებულოს თავმჯდომარეს ბეჟან ღურჭუმალიძეს. თქვენ, როგორც ქალაქის მერი რა ინფორმაციას ფლობთ, ჩვენთან რა მდგომარეობაა?

—მართლაც, არანაირი გამართლება რუსეთის მიერ ჩადენილ ფაქტს არა აქვს და ეს ხდება მაშინ, როცა ყველაზე მეტ საჭიროებას წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობისთვის შუქიც და ბუნებრივი აირიც. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი არასაიმედო პარტნიორი ქვეყანაა.

რაც შეეხება ჩვენთან არსებულ მდგომარეობას. სტაბილური სიტუაციაა. ცაგერის საბაზო სკოლაში სწავლის პროცესი არ შეწყვეტილა. სკოლას აქვს საკმაო რაოდენობის შეშის მარაგი და გათბობის მხრივ პრობლემა არ აქვს. საბავშვო ბაღებში არდადეგები გაგრძელდა მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი თუ ვის დაქვემდებარებაში დარჩებიან ისინი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ №1 ბაღს შეშის ნაკლებობა აქვს, მაგრამ სანამ ფუნქციონირებას განაახლებს ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნება. რაც შეეხება ელექროენერგიას—მოგეხსენებათ, დღემდე არანაირი შეზღუდვა ელექტროენერგიის მოხმარების თაობაზე არ ყოფილა. საქართველოში არსებულმა მდგომარეობამ, ამ მხრივ, ჩვენთანაც პოვა ასახვა. ძირითადად დენი მიეწოდება უშუქოდ დარჩენილ დედაქალაქს. ენერგოკომპანიის ხელმძღვანელისგან ინფორმაცია გვაქვს, რომ ქალაქს დღეში რამდენიმე საათით დენი მიეწოდება, რათა მოსახლეობა მომარაგდეს წყლით და თვით წყალსადენის მაგისტრალში რაიმე პრობლემა არ წარმოიშვას.

თოვლის მოსვლის შემდეგ №16 საგზაო სამმართველომ, რომელიც ცენტრალურ გზას ემსახურება, ქალაქის ძირითადი ქუჩები გაწმინდა. თოვლის საფარის მომატების შემთხვევაში მობილიზებულია მეორე საგზაო სამმართველოც. მზადყოფნაში გახლავთ საჭირო ტექნიკა. ჩვენთან, ქალაქის საკრებულოში, შექმნილია დროებითი შტაბი, რომელიც რაიმე პრობლემის წარმოქმნის დროს შეძლებისდაგვარად იმოქმედებს. ასე რომ, საგანგაშო ჩვენს პატარა ქალაქში ნამდვილად არ არის. ამინდიც ღვთის წყალობით, გაუმჯობესდა. მაგრამ, ისევ ვიმეორებ, გაუარესების შემთხვევაში ჩვენ ყოველნაირად მზად ვართ თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი დაბრკოლება.

ეკა ყვირილიანი

ცოტა რამ სახელმწიფო რეესტრის შესახებ

თქვენს უწყებაში რეორგანიზაცია მოხდა. ბუნებრივია, იქნება სიახლეები, ცვლილებები. როგორ ემსახურებით ახალი დებულების შესაბამისად მოსახლეობას, რა უნდა ვიცოდეთ ამ მეტად საჭირო იურიდიული სამსახურის შესახებ__ამ კითხვით მივმართეთ ცაგერის რაიონის მოსახლეობის რეგისტრაციისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამსახურის უფროსს ქალბატონ ვენერა დაშნიანს.

მოვუსმინოთ მის კომენტარს.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო რეესტრის შესახებ" განსაზღვრავს სახელმწიფო რეესტრის სისტემას, მისი წარმოების ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, რეესტრის მწარმოებელ ორგანოთა უფლება-მოვალეობებს.

სახელმწიფო რეესტრის ერთ-ერთი სახეა სამოქალაქო რეესტრი, რომელიც არეგულირებს საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზიკურ პირთა რეგისტრაციის, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, ბინადრობის მოწმობისა და პასპორტის გაცემის რეგისტრაციის მონაცემთა სისტემურ ერთობლიობას.

სახელმწიფო რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომელიც ქმნის ტერიტორიულ ორგანოებს, ტერიტორიულ ორგანოებს, როგორც თქვენთვის ცნობილია, ერქვა მმაჩის ბიურო და საპასპორტო მაგიდა. ამჟამად, ანუ რეორგანიზაციის შემდეგ, ეწოდება მოსახლეობის რეგისტრაციისა და სამოქალაქო აქტების რეგისტარციის სამსახური.

ამ სამსახურის ფუნქციები გახლავთ:

დაბადების, ქორწინების, განქორწინების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის, სახელის, მამის სახელის, გვარის მოქალაქეობის შეცვლისა და გარდაცვალების ფაქტების დარეგისტრირება;

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის თაობაზე განმეორებითი მოწმობებისა და ცნობების გაცემა, სამოქალაქო აქტების შესახებ საარქივო ფონდის შექმნა, აღრიცხვა და დაცვა;

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა რეგისტრაცია და რეგისტრაციიდან მოხსნა, შესაბამისი პირადობისა და ბინადრობის მოწმობის გაცემა, საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემა და შეცვლა;

უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს სამუდამოდ დატოვების შემთხვევაში შესაბამისი პირადობის მოწმობის ჩამორთმევა.

სამსახური ექვემდებარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე. უშუალო ხელმძღვანელობას კი გვიწევს სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტი, რომელიც გახლავთ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი.

მოსახლეობის რეგისტრაციისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს იუსტიციის მინისტრი, სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

სამსახურის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სამინისტროსა და მინისტრის წინაშე. იგი ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას, დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას, ახორციელებს მოსამსახურეთა ზედამხედველობას.

2005 წლის თებერვალში არსებული სამსახურის ვაკანტური ადგილებისთვის გამოცხადდა კონკურსი, რომელიც წარიმართა 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე ჩატარდა ტესტირება, მეორეზე კი გასაუბრება-კონკურსი, რომელშიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მონაწილეობდა 5500 კაცი. აქედან ვაკანტურ ადგილებზე გავიდა 450.

კონკურსში გამარჯვებულებმა იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში გაიარეს ტრეინინგები.

რეორგანიზაციის შემდეგ

2005 წლის 12 სექტემბრიდან მოხდა დანიშვნები. ახლადშექმნილმა სამსახურმა დაიწყო ფუნქციონირება.

დღეისთვის ჩვენთვის პრობლემაა სამსახურისათვის საჭირო ფართის გამოყოფა, რაც ადგილობრივი ხელმძღვანელობის ძალისხმევითა და მხარდაჭერით უახლეს დღეებში გადაწყდება.

ასე რომ, ჩვენ მზად ვართ თქვენს სამსახურად ძვირფასო მოქალაქეებო!

მოგილოცავთ დამდეგ ახალ წელს! საბედნიეროდ დაგჭირვებოდეთ ჩვენი მომსახურება.

მზევინარ ძნელაძე

აქტუალური თემა

ეს �რის ფრინველის გრიპი?

ფრინველის გრიპი არის ფრინველების ინფექციური დაავადება, რომელსაც A ტიპის გრიპის ვირუსის ცალკეული ვარიანტები იწვევს. ცნობილია გრიპის ვირუსის თექვსმეტი ქვეტიპი, რომელიც ფრინველებში ინფექციური დაავადების განვითარებას იწვევს. ფრინველთათვის მაღალი ფათოგენების ინფექციის აფეთქებათა დღემდე ცნობილი შემთხვევები A ტიპის გრიპის ვირუსის H5 და H7 ქვეტიპებს უკავშირდებოდა.

დაავადების ნიშნები ფრინველებში

ფრინველებში გრიპის გავრცელება მსოფლიოს მასშტაბით ჩვეულებრივი მოვლენაა. ინფექციის ნიშნები, შესაძლოა, მერყეობდეს მსუბუქი ფორმებით დაწყებული ძლიერ გადამდები და სწრაფი სიკვდილის გამომწვევი შემთხვევებით დამთავრებული. უკანასკნელ დროს ხშირად აღინიშნება დაავადების მძიმე ეპიდემიური გავრცელება, რის გამოც მას „მაღალი პათოგენობის ფრინველის გრიპს" უწოდებენ. ეს ფორმა სიმპტომების უეცარი გამოვლენით, მძიმე მიმდინარეობითა და სიკვდილის სწრაფი დადგომით ხასიათდება. ამ შემთხვევაში ფრინველთა დაცემა შესაძლოა 100 პროცენტს უტოლდებოდეს.

მაღალი პათოგენობის ფრინველის გრიპის ბოლო აფეთქება, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 2003 წლის შუა ხანებიდან დაიწყო, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და მძიმე ხასიათისაა დღემდე ცნობილ შემთხვევებს შორის. დაავადების ისტორიის მანძილზე ერთდროულად ამდენი ქვეყანა არასდროს დაზარალებულა და არც ამდენი ფრინველი გაწყვეტილა. ამჟამად დადასტურებულია, რომ დაავადების გამომწვევი H5H ვირუსი, მართლაც განსაკუთრებული გადამდებლობით გამოირჩევა. 150 მილიონამდე ფრინველის დახოცვის ან განადგურების მიუხედავად, მიიჩნევა, რომ ვირუსის გავრცელება ინდონეზიის, ვიეტნამის, კამბოჯის, ჩინეთისა და ტაილანდის უმეტეს ნაწილში კვლავაც ეპიზოტიურ ხასიათს ატარებს

წყლის გადამფრენი ფრინველები–განსაკუთრებით გარეული იხვები და ბატები–ფრინველის გრიპის ვირუსის ბუნებრივ რეზერვუარს წარმოადგენს. ისინი დაავადების მიმართ განსაკუთრებული რეზისტენტობით გამოირჩევიან. უმეტესად ეპიზოოტიებს შინაურ ფრინველებთან გადამფრენი გარეული ფრინველების პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტი იწვევს.

დაავადება ერთი ფრინველიდან მეორეზე ვირუსის ნაწლავების შესუნთქვით გადაეცემა. ერთი ფერმიდან მეორეშე ვირუსის გადატანა დაბინძურებული მოწყობილობებით, ავტოტრანსპორტით, საკვებით, მალიებითა და ტანსაცმლით არის შესაძლებელი. ვირუსის გადატანა ფრთებითა და სხეულით ცხოველებს, მაგალითად, მღრღნელებსაც შეუძლიათ. ისინი დაავადების გავრცელების პროცესში „ინფექციის მექანიკურ გადამტანებად" გვევლინებიან.

ფრინველთა ზოგიერთი სახეობა ინფექციის მიმართ უფრო მეტ რეზინსტენტობას იჩენს, ვიდრე სხვა სახეობები.

შინაური ფრინველები, მათ შორის ქათმები და ინდაურები, მაღალი პათოგენობის ფრინველის გრიპის მიმართ განსაკუთრებული მიმღებლობით გამოირჩევიან.

მოცემულ მომენტში დაავადების ადამიანებზე გადაცემის რისკი საზოგადოდ მცირეა, განსაკუთრებით ჩვენს რეგიონში, ვინაიდან ფრინველის გრიპის ვირუსის შტამები ადამიანებს, როგორც წესი, არ ასნებოვანებს.

ადამიანებში მძიმე დააავდების გამოწვევის უნარი დღემდე უკვე რამდენიმე შემთხვევაშია დაფიქსირებული, მაღალი პათოგენობის ფრინველის გრიპის ეპიზოოტიამ, რომელიც H5 N1 შტამს უკავშირდება და 2003 წელს აღმოცენდა, უკვე დაავადდა ადამიანები აზიის რამდენიმე ქვეყანაში.

საკვების უსაფრთხოება: არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ სათანადოდ მომზადებული შინაური ფრინველის ხორცი ან შინაური ფრნიველისგან მიღებული სხვა პროდუქტი. მაგ. კვერცხი ინფექციის წყარო გამხდარიყოს. საკვების ჩვეული წესით მომზადება (70^{0}C-ზე მაღალ ტემპერატურაზე) ვირუსის გაუვნებელყოფას იწვევს.

„მე როცა თეატრს მოვწყდები, მაშინ მოვკვდები“

14 იანვარი ქართული თეატრის დღე

„ჰოდა, სანამ კაცნი გქვია,
სიყვარული შეგვიძლია,
უფლის მადლით ამ მიწაზე ვ
ტრიალებთ,
გულის კარი გვქონდეს ღია,
თორემ თუკი მოგვერია,
სიძულვილი დაგვძლევს ადამიანებს.“

სევდისმომგვრელი ეს სიტყვები ჩვენი წერილის ადრესატს, აწგარდაცვლილ, დიდ მსახიობს გრიგოლ მდივანს ეკუთვნის.

და როცა თეატრს მოწყდა, მაშინ მოკვდა, მას არ შეეძლო თეატრის გარეშე ცხოვრება.

გრიგოლ მდივნის შემოქმედებითი ბიოგრაფია ჭაბუკობის წლებიდან იღებს სათავეს. იგი ათეული წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა თეატრალურ ხელოვნებას.

სახალხო თეატრის საუკეთესო ისტორიული ფურცელი გრიგოლ მდივანსა და მის სამსახიობო ხელოვნებას ეკუთვნის. თეატრი მიაჩნდა როგორც წმიდათაწიმდა და მთელი სიცოცხლე თავდადებულად შეალია სცენას. დახვეწილი არტისტიზმი, კომედიური სილაღე, ხალისიანი ლირიზმი—თითქოს ბუნებით ჰქონია მას თანდაყოლილი, ამ შერწყმამ კი იგი დიდ მსახიობად აქცია.

მისი ბობოქარი ტემპერამენტი აჯადოვებდა მაყურებელს, გულში ჩამწვდომად ჟღერდა ყოველი სიტყვა, ოსტატურად ქმნიდა, როგორც დრამატულ ისე კომედიური ჟანრის სახეებს, რომლის წარმატებით შესრულებაში ხელს უწყობდა სასიამოვნო ხმის ტემბრი და მეტყველი თვალები.

გრიგოლ მდივანი იყო არა მარტო მსახიობი, არამედ რეჟისორიც, მისი რეჟისორობით და მონაწილეობით შეიქმნა სპექტაკლი: „დალუნდარა,“ რომლის სცენარი მასვე ეკუთვნის. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „გზააბნეული შვილი“ „ელეონორა,“ „მეუღლენი,“ „მინდვრის დედოფალი,“ „ხევისბერი გოჩა,“ რომელიც დღემდე შემორჩა თეატრის ერთგული მაყურბლის მეხსიერებას, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი. ხევისბერის როლი გრიგოლ მდივნის შესრულებით შეუდარებელი ყოფილა, იხსენებენ, რომ პრემიერის დღეს დარბაზში ქვითინიც ისმოდა და სცენა ყვავილებით აივსო.

შემოქმედებით ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ ერეკლე მეფის როლის შესრულების შემდეგ მასთან ბუხუტი ზაქარიაძე მისულა და აღფრთოვანებულს უთქვამს „ყოჩაღ, გრიშა, ყოჩაღ! ძალიან კარგი იყავ.“

სახალხო თეატრში გაწეული უდიდესი ღვაწლის გამო გრიგოლ მდივანს 12 საპატიო სიგელთან ერთად 1965 წელს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს. ის იყო ერთ-ერთი დამსახურებული არტისტი მთელს ლეჩხუმში.

გამორჩეული და ღირსეული ადამიანი, მეუღლე, მამა, ბაბუა, თავისი კუთხის პატრიოტი.

დიდი მსახიობის ტრადიციები მის შთამომავლობაში გრძელდება. შვილი ოტელო მდივანი მსახიობია, საქართველოს სამგზის ლაურიატი. ნათამაშები აქვს 62-მდე როლი, უმრავლესობა მთავარი როლი. ათეულ წლები მოღვაწეობდნენ მამა და შვილი ერთდროულად სცენაზე. ბატონი ოტელო სიხარულით იხსენებს იმ წლებს, როდესაც სახალხო თეატრში მამასთან ერთად მოღვაწეობდნენ სევერიან კოპალიანი, ბიძინა ფანჯიკიძე, ნინო ყუბუსიძე, ბაბუცა ბაქრაძე, და მრავალი სხვა. უზარმაზარ ძალას წარმოადგენდა თეატრი მაშინ, თეატრი, რომელმაც ლეჩხუმი გააცნო საქართველოს. დანანებით ლაპარაკობს თეატრის ახლანდელ მდგომარეობაზე და იმედოვნებს, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ წავა. მისი ოცნებაა თეატრი აღორძინდეს და გაბრწყინდეს ძველებურად.

რძალი, ინეზა მოლოდინაშვილი წლების მანძილზე მუშაობდა ცაგერის სამუსიკო სკოლის დირექტორად. ახლა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი.

შვილიშვილი, კახა სულიკოს ძე მდივანი ექიმი ნევროპათოლოგია, მშვენიერი ლექსების კრებულის ავტორი, რომლის პრეზენტაციაც ცაგერში შედგა.

ბატონი გრიშა რომ ცოცხალი იყოს, რა პოეტური შთაგონებით წაიკითხავდა მისი ლექსების სტრიქონებს:

2002 წლის 4 აპრილს კულტურის სამინისტროს თანხმობით, ცაგერის სახალხო თეატრს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გრიგოლ მდივნის სახელი, ნათელი მის ხსოვნას.

სახალხო თეატრს და მთელ მის დასს ვულოცავთ ქართული თეატრის დღეს, ღმერთმა გიმრავლოთ გრიგოლ მდივნის მსგავსი ადამიანები.

ეკა ბენდელიანი

„ნინო, სილამაზით მკხეთა გაგვირისხე!“

თურმე, სახელგანთქმული ჯაბადოკიელი მხედარმთავრისა და გულდამწვარი ქრისტიანის ასული ნინო, ღვთისმსახურებას თავის ბიძასთან იერუსალიმის პატრიარქთან ზიარებია. აქ გასცნობია საქართველოს ისტორიას და გულს ჩასახვია მცხეთაში ჩაფლული ქრისტეს პერანგის პოვნა.

წადილის აღსასრულებლად და ლოცვა-წამებით მიუღწევია ჯავახეთს, შემდეგ მცხეთას.

ღვთის მოციქულს ვაზისგან გაუკეთებია ჯვარი, საკუთარი თმებით შეუკრავს და მამაზეციერს ქართლის მოქცევას შევედრებია.

...და ასრულებულა ჯიდეც განგების ნება მირიანის სამეფოში, როცა ბიზანტიიდან მოვლენილ ანტიოქიის პატრიარქს მტკვარში მოუნათლავს ქართველი ერი.

და გაჩნდა წარმართი საქართველოს ცაკაბადონზე ჯვარი ვაზისა არმაზის სანაცვლოდ.

ჯვარი ვაზისას ქართველებისათვის გამეტებული ღვთისმშობლის მადლი.

მკითხველის შემოქმედება

■ ■ ■

შემოდგომაა... დასცვენია ხეს ყვითელი ფოთლები,
მე და ჩემი ოცნებები დავალთ როგორც ლოთები,
ცივი ქარი დათარეშობს, თავს ევლება ქუჩებს,
ფოთლებს ცაში აფრიალებს და თავსატეხს უჩენს.
ქუჩის ბოლოს შემეფეთა მათხოვარის სახე
გათოშილი ხელით შველას სთხოვდა ყველა გამვლელს
ჯიბეები მოვიძებნე, ლარიანი ვნახე
გავუწოდე, ჩავაშტერდი მის თაფლისფერ თვალებს.
იმ დარდიან გამოხედვას ვეღარაფრით ვივიწყებ
თითქოს გულში რაღაც ჩამწედა სევდიანი ვიძინებ
სიზმრად ისევ მისი სახე და თვალები ვიხილე
ბედნიერი იყო და მეც სიხარულით ვიტირე.
გავიფიქრე ეს სიზმარი იქნებ მართლა ახდეს
და ის მოწყენილი სახე მომღიმარი გახდეს
გაჯიღიმე ის კი ისევ იმ ქუჩაზე იდგა
თბილისში კი სუსხიანი შემოდგომა იდგა.

11.11 05. თბილისი

■ ■ ■

გარეთ ციოდა...ათოვდა ზამთრის ბაღებს,
ვეღარაფერი მოვუხერხე მე ამ ჩემს დარდებს,
თუ გამტანჯავდი სულ არ მინდოდა მე შენი ჰოვნა
ჩემმა არსებამ თავშესაფარი რა ვქნა თუ შენში ჰპოვა.

■ ■ ■

ზოგჯერ უზომოდ ბედნიერი ვარ
ზოგჯერ უზომოდ სევდიანი
ზოგჯერ ღრუბლებში დავფრინავ და
ზოგჯერ დავაბოტებ დარდიანი
არავინ არ იცის ასე რად ხდება და
ვერავინ ვერ გაუგებს ამ გულს
თურმე ასეც ხდება ქვეყანაზე
ბევრჯერ ვერ იგებენ შენს თქმულს.

■ ■ ■

რა ხანია შენზე რამე არაფერი მიწერია
ის ვიცოდე ერთად ეოფნა ოდესმე თუ გვიწერია,
უსასრულო მოლოდინში წელი ისევ გაილია
ამ უაზრო ოცნებაში ჩემი გული დაილია.
რაღაც ახლის მოლოდინში დრო უცრად გამჰარვია
ჩემს სიყვარულს ძველი ხიბლი არასოდეს დაჰკარგვია
ბედნიერი ხარ თუ არა სულ ამაზე მიფიქრია,
მე რას ვშვები, რას გაკეთებ არასოდეს გიფიქრია?

ირმა საღინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ მთლად არ დავიწყდეთ

დღევანდელმა აბობოქრებულმა ცხოვრებამ მრავალი, რთული პრობლემის წინაშე დააყენა ქვეყანა. ბევრს ლუკმა-პური ენატრება, ზოგმა სასახლეები აიგო. უმუშევრობამ და ხვალინდელი დღის უპერსპექტივობამ ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი ნარკომანად აქცია, მილიონნახევარმა ქართველმა სამშობლო დატოვა და უცხოეთში ბედის საძებნად გადაიხვეწა. ხელისუფლება ბევრს აკეთებს ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის, ქვეყნის ძლიერების განსამტკიცებლად, მაგრამ მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სოციალური მდგომარეობა მეტად მძიმეა.

ქართველი კაცი მომთმენია, უარესი გაჭირვებაც უნახავს, მაგრამ გული არ გატეხია. მომავლის იმედით ცხოვრობდა, ბრძოლითა და შრომით დასახულ მიზანს აღწევდა.

ყველაზე დიდი გამოცდა ჩვენს ხალხს დიდმა სამამულო ომმა მოუწყო. მარტო ჩვენმა რაიონმა 7000-ზე მეტი ჯანღონით სავსე ახალგაზრდა გაგზავნა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მათ თავიანთი წვლილი შეეტანეს ფაშიზმის განადგურების საქმეში. ნახევარი გამარჯვებაც შეეწირა. შინდაბრუნებული ნაომარი ვაჟკაცები მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაებნენ დანგრეული ეკონომიკის აღსადგენად, ოჯახის ფუძე განამტკიცეს, თაობები აღზარდეს.

ომგადახდილებს ამაგი დაუფასდათ. უფასო სამედიცინო მომსახურება, პირველი ჯგუფის ინვალიდებს წამლების ბინაზე მიტანა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობა, წელიწადში ერთხელ სანატორიუმში გაგზავნა, წყლის, რადიოს, ტელეფონის, კომუნალური მომსახურების გადასახადისაგან განთავისუფლება შეღავათები ელექტროენერგიის მომსახურებაზე და სხვა. აი ის პრივილეგიები, რომლითაც ვეტერანები სარგებლობდნენ.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ვეტერეანებისადმი დამოკიდებულება ნეგატიურად შეიცვალა. კანონით გათვალისწინებული ბევრი შეღავათი აღარ მოქმედებს. დღეისათვის ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებულები თავისუფალნი არიან წყლის, რადიოს, ტელეფონის გადასახადისაგან. შეღავათებით სარგებლობენ ელექტროენერგიის ხარჯვისათვის, მაგრამ ომის ვეტერანთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე მძიმეა. ესენი არიან 86 წელს გადაცილებული ნაომარი ხალხი, რომელთა ერთი ნაწილი დღესაც ატარებს მტრის ტყვიას და ყუმბარის ნამსხვრევებს. დაუძლურებულნი არიან ფიზიკურად, ტრამვირებულ—მორალურად. ზოგი მათგანი ლოგინს არის მიჯაჭვული. ისუნდრელმა ვალიკო ჩაკვეტაძემ კურსკის შვერელზე გამართულ, ისტორიაში არნახული მასშტაბის და სისასტიკის ომში ცალი ფეხი დაკარგა, სახლში დაბრუნებულს, ომში მიღებული ტრავმისაგან მეორე ფეხიც მოკვეთეს. წლების მანძილზე საწოლიდან ვერ გადმოდის. წყლის, რადიოს, ტელეფონის გადასახადისაგან განთავისუფლება მისთვის დიდი შეღავათი არ არის. მას სამედიცინო დახმარება, წამლები სჭირდება, ჩხუტელელმა აკაკი მურცხვალაძემ რეიხსტაგის შტურმზე მონაწილეობა მიიღო. ბრძოლა შორეულ აღმოსავლეთში, მანჯურიაში დაამთავრა. „აღარავის ვახსოვართ, ომის ვეტერანები მხოლოდ 9 მაისს ახსენდებათო,“ გულდაწყვეტილი საყვედურობს. ისინი სამართლიანად გამოთქვამენ გულისწუხილს ნუთუ იმისთვის ვებრძოდით მოსისხლე მტერს, რომ მოხუცობის ჟამს ყველას დავვიწყებოდითო.

არ შეიძლება არ დაეთანხმო მათ.

ომის ვეტერანთა ქომაგი, მათი ინტერესების დამცველი პირველ რიგში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ვეტერანთა საბჭოა. ისინი მოწოდებული არიან დაიცვან ვეტერანთა სოციალურ-ეკონომიკური, შრომითი, სამოქალაქო უფლებები. იზრუნონ მათი მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, პენსიონერებზე კანონით გათვალისწინებული შეღავათების შესრულებისათვის.

სამწუხაროდ ბოლო პერიოდში ვეტერანებისადმი ყურადღება შენელდა, ამის დასტურია იმ მომართვების შინაარსი, რომლებიც ამა წლის 16 იანვარს ვეტერანთა საბჭომ მიიღო. ერთის ავტორია საქართველოს ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე კარლო გარდაფხაძე. მეორე აქ ერთობლივი მომართვაა, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ნუგზარ ცაგარეიშვილი, საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ბორის ყურაშვილი, საქართველოს ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე კარლო გარდაფხაძე. მეორე მომართვა დაეგზავნა რესპუბლიკის ყველა რაიონის გამგებელს და ვეტერანთა საბჭოს. მასში აღნიშნულია: „რესპუბლიკის მთელი რიგ რაიონებს და ქალაქებში, უკანასკნელ ხანებში მკვეთრად შეცვალეს თავიანთი ადრინდელი თბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულება ვეტერანებისადმი და ვეტერანთა საბჭოებისადმი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რიგ რაიონებში ვეტერანთა საბჭოს სამუშაო ოთახები სხვა უწყებებს გადასცეს, ტელეფონები მოუხსნეს, შეუწყვიტეს ყოველგვარი ფინანსური დახმარება საბჭოს ფუნქციონირებისათვის...“ „ყოველივე ზემოდაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ ყურადღებით განიხილოთ ვეტერანებისათვის ყველა საჭირბოროტო საკითხი და შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმილები, ყოველმხრივი დახმარება, მათ შორის ფინანსურიც აღმოუჩინოთ ვეტერანთა საბჭოებს და ეკონომიკურად ყველაზე გაუსაძლისი მდგომარეობაში მყოფ ვეტერანებს.“

ზემოდაღნიშნული ნაკლოვანება ჩვენს სინამდვილეშიც გამოვლინდა, წელიწადზე მეტია ვეტერანთა საბჭოს აღარ აქვს სამუშაო ოთახი, სადაც შეგვეძლებოდა ვეტერანებთან შეხვედრა, ურთიერთაზრის გაზიარება. და თუ დახმარებას ვერ გავუწევდით, იმედიანი სიტყვით მაინც გავისტუმრებდით. ვეტერანთა საბჭო დაფინანსების გარეშე დატოვეს, მხოლოდ წლის ბოლოს 80 ლარი მისცეს ხარჯებისათვის, თუმცა მას მუშაობა არ შეუნყვეტია.“

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რაიონის გამგეობა გაითვალისწინებს შექმნილ მდგომარეობას, იხელმძღვანელებს ზემდგომი ორგანოების თხოვნით მეტ ზრუნვას გამოიჩენს ვეტერანთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ყველა აუცილებელ პირობას შეუქმნის ვეტერანთა საბჭოს ნორმალური ფუქციონირებისათვის.

ცოტანი დარჩნენ ომის ვეტერანები, ბევრი დრო არ დარჩა დასასრულამდე... განსაკუთრებით მძიმე ჟამს სჭირდება მათ გამხნევება, ყურადღება, გაწეული ღვაწლის დაფასება, საზოგადოების მხრიდან მეტი სიყვარული.

ისინი ხომ თქვენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ.

შალვა ცვარიანი
ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე

ემზარ გუგავა

ადრე წასული მეგობარი

მოულოდნელი იყო ლეჩხუმისათვის, შენი საწუთროსგან, განშორება, მოულოდნელი და ტკივილიანი.

წინ შენი ხელით შევსებული ბიოგრაფიის ფურცელი გვიდევს, რომელიც გვამცნობს 1955 წლის 15 ივნისს შენი დაბადების თარიღს და ჯელა იმ კომკავშირულ პარტიულ თუ სამეურნეო საფეხურს, რომელიც ამ 50 წლის მანძილზე განვლე და მთავარი ის კი არ იყო შენთვის, რომ მაღლა-მაღლა გევლო, არამედ ის, რომ ჯელა საფეხურზე დარჩენილიყავი უანგარო პიროვნება, ერთგული მეგობარი, ხალასი იუმორის ბიჭი და ნებისმიერ ლეჩხუმელზე გულწრფელად შეჯარებული...

სულ ახლახანს განვლო ორმოცმა დღემ, რაც შენ ამ ქვეყნიდან უფალმა გაგიჯანა...

სიტყვები გაგვირბის, აზრიც გვეფანტება, როგორც გარდაცვლილს ისე უნდა მოგმართოთ, მაგრამ იმას ხომ ვერსად გავექცევი, რომ შენ შენს მეგობრებს დღესაც ისევ უჯარხარ, როგორც გუშინ-ნიჭიერი, თავმდაბალი, კაცმოყვარე, ინტელიგენტი.

ძალიან დაგვწყვიტე გული, აკი მთელმა ლეჩხუმმა დაგიტირა თბილისში, აკი ყველამ იცოდა შენი სულისათვის, რათა მეგობრების დანთებულმა კელაპტრებმა უნდა გაგინათოს გზა მარადიულობისაკენ, ღმერთი ხომ მოწყალეა და გვჯერა შენს სულს უკვდავყოფს.

მეგობრები

განწყობისათვის

ზამთრის ღამეა, ჩამოყუდროებული და უკუნეთი. ხანდახან მამლის ყივილი და ძაღლის ყეფა თუ დაარღვევს მდუმარებას. თოვს. სანთლის შუქზე ვხედავ როგორ აწყდებიან სარკმელს ანცი ფანტელები და ნაირ-ნაირი ფიგურებით უცნაურ აბსტრაქციას ქმნიან.

ზამთრის გრძელ ღამეს ფიქრი მოსდევს, ფიქრი და ოცნება, თუ ცოტა პოეტური სულიც გაქვს, და მუზაც დაგესწრო, სტრიქონებიც შეგიძლია გამორანდო. მე შენ გეტყვი და ზამთრის „წლის ღამეზე“ დრო არ არის, თუ განწყობა არ დაგეუფლება...

ამასობაში მთვარეც ამოგორდა და დაბრძანდა ცის ტატნობზე. თოვამაც გადაიღო, რა დიდებულია მთვარის შუქზე თეთრი ფაფუჯი ღამე, დიდებული, მაგრამ ცივი, მუნჯი და უჯარება.

დიდხანს ასხივოსნებდა მთვარე დედამიწას, დიდხანს ეფერებოდა მერე საგულდაგულოდ დაივახშმა და თანდათან გაფერმჯრთალდა, დღეს მიეახლა.

სარკმელში დილის რიჟრაჟი შემოვიდა, გათენდა ჯიდევ ერთი დღე, დღე-სიცოცხლისა და ბრძოლის. ჩიტები აიშალნენ, დათოვლილ ტოტებზე დახტიან, ჟივჟივებენ, ღობე, ყორეს აწყდებიან. ერთი პაწია „გულყვითელა“ ვარდის ბუჩქებზე გამალებით ჟღურტულებს, წრიალებს, რაღაცას მომძახის, მიმღერის,. თვალი გავადევნე და აი, საოცრება-ვარდის ძირას ფურისულა ამოსულა, უმწეო, გათოშილი, სრულიად უფოთლო დედაშობილა... თვალებს არ ვუჯერებ: ნელ-ნელა ნაზი რხევით სველი ტანი ჩამოიბერტყა, წელში გასწორდა, თვალები მოიფშვნიტა და... ამაყად შესცინა ზამთარს და დედამიწას.

ღმერთო, დიდებულო! ამ უმანკო ყვავილმა სიხარულით ამავსო, და იმედით-მოვა, მალე მოვა გაზაფხული.

მ. ილიაშვილი

ვულოცავთ!

მარინა გიორგობიანს!

გილოცავთ დაბადების დღეს, დღეგრძელი ყოფილიყო, ღმერთი ფარავდეს შენს ოჯახს.

სალომე და სერგო გიორგობიანები

■ ■ ■

ნესტან, გახტანგ ასათიანებს!

გილოცავთ ლალის ბედნიერებას, სიხარული და ბედნიერება ნუ მოაკლოთ ღმერთმა!

დავით, დადაში, ჯონი, ზაზა დავითულიანები.

სერგო ღურჭუმალიძე ოჯახებით

ეროვანწყობისათვის

სიბრძნის საგანძურიდან

ზოგი საგანია, თუ არ დაინახავ, ვერ ირწმუნებ, ზოგი ისეთი, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ.

(ილია)

■ ■ ■

ან უსამშობლო ჯაცმან ბოგანომ,
რა იცის, რაა სამშობლოს ტრფობა.

(ვაჟა)

■ ■ ■

მწამს მხოლოდ იმიტომ, რომ აბსურდია.

(ტარტულიანე)

■ ■ ■

ას წელსაც რომ იცოცხლო, ესეც ორი წამია მხოლოდ. მაგრამ იშვიათად თუ აღიარებს ვინმე, რომ ჩვენ საქმეებით ვიქცევთ თავს და ბანქოს ვთამაშობთ ექსპრესში, რომელიც სიკვდილისაკენ მიქრის.

(ჟან პოპტი)

■ ■ ■

ნიჭიერებას ბოლომდე უნდა დახარჯვა.

■ ■ ■

სიყვარულიდან გამომდინარეა სიხარული. თუ გვინდა გვქონდეს სიხარული, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს.

■ ■ ■

გული არ დაგწყდეთ, თქვენთანაც მოვა გარდაცვალების დღესასწაული.

■ ■ ■

თუ შენ მოგწონს რასაც ქმნი, აქ თავდება შენი შემოქმედება.

■ ■ ■

სიბერის ტრაგედია ის კი არ არის, რომ ბერდები, არამედ ის, რომ სულით ახალგაზრდა რჩები.

სპორტი, სპორტი, სპორტი

რაიონული ტურნირი ნარეკვში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის მიმდინარე წლის სპორტული სეზონი მონარდეებმა გახსნეს. რაიონულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 26 მოთამაშე.

დაძაბულ, უშეღავათო ორთაბრძოლებში, რომლებიც ორ ქვეჯგუფში წრიული სისტემით ჩატარდა, გამოვლინდა 4-4 საუკეთესო მონარდე, რომლებმაც ოლიმპიური სისტემით გააგრძელეს ასპარეზობა.

ფინალურ შეხვედრაში ლასურიაშელმა გოჩა მუშკუდიანმა დაამარცხა ცაგერელი ოთარ საღინაძე და მოიპოვა ჩემპიონობა.

მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლემ ლაშა კოპალიანმა.

გამარჯვებულ და საპრიზო ადგილზე გამოსული მონარდეები დაჯილდოვდნენ რაიონული სპორტკომიტეტის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის სამახსოვრო სპეციალური პრიზებით.

რაიონის სპორტსმენები ქვეყნის სპორტულ სარბიელზე

მამუკა მუშკუდიანი. სავიზიტო ბარათი

დაბადებული 1986 წელს, საქართველოს სპორტის აკადემიის II კურსის სტუდენტი ფრენბურთის სპეციალობით.

საქართველოს სამგზის ჩემპიონი ფრენბურთში სპორტის აკადემიის გუნდის შემადგენლობაში.

გასულ წელს რაიონის ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის რიგებში გახდა ი. ამირეჯიბის სახელობის თასის მფლობელი.

არის ფრენბურთში საქართველოს ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის კანდიდატი.

მისი ეტალონი ფრენბურთში—ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა. ჰობი—ნადირობა.

გიორგი კვირიკაშვილი
რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

ზუსაბ (შახმან) მეშველიანის ხსოვნას



საქართველოს სპორტულ საზოგადოებას, ოჯახს და სამეგობროს გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება წარსულში ცნობილი სპორტსმენი, სპორტის ოსტატი ჭიდაობაში, ზურაბ (შახმან) მეშველიანი. გასული საუკუნის 50-იან წლებში.

ზურაბ მეშველიანი იყო სოფელ ჩხუტელის, მთელი რაიონის რჩეული ახალგაზრდა. მან, როგორც ნიჭიერმა სპორტსმენმა, მოჭიდავემ დამსახურებულად მოიპოვა აღიარება. საქართველოს მრავალგზის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, რომ არა მძიმე ტრავმა, შეეძლო უფრო მაღალი მწვერვალების დაპყრობა.

სერიოზულმა ავტორიტეტმა საქართველოს სპორტულ სამყაროში, მას საშუალება მისცა—ოთხი ათეული წლის განმავლობაში ემუშავა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე თბილისში.

მთელი თავისი ცხოვრება ბატონი ზურაბი ახლო კავშირში იყო სპორტულ მოძრაობასთან. მისი თაოსნობით ქ. თბილისში აშენდა საჭიდაო დარბაზი.

ზურაბ მეშველიანის გვერდით აღიზარდნენ სახელოვანი ფალავნები: გურამ საღარაძე, ლევან თედიაშვილი, ნოდარ მოდებაძე და სხვები. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო არაერთი სოციალური პრობლემის დადებითად გადაწყვეტაში ქართული სპორტის საკეთილდღეოდ.

ზურაბი (შახმან) მეშველიანი იყო ლეჩხუმის დიდი მოსიყვარულე, მას განსაკუთრებით ახარებდა ჩვენი რაიონის სპორტული წარმატებები.

ფიზიკური და სულიერი სილამაზე, წესიერება და ვაჟკაცობა განსაკუთრებულ ელფერს ჰფენდა მის პიროვნებას.

ზურაბი (შახმან) მეშველიანის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მეგობრებისა და ახლობლების გულში.

რაიონის სპორტკომიტეტი

გილოცავთ!

გაზეთმა „ლელუმ“ დაასახელა 2005 წლის ლაურეატები საქართველოს სპორტში.

ნომინაციაში—საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში სპორტის აქტიური მხარდაჭერისათვის ლაურეატის სახელი მოიპოვა—საქართველოს პარლამენტის წევრმა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სპორტის სამსახურის უფროსმა **ვალერი გიორგობიანმა.**

ვუსურვებთ მადონ ვალერის! ამ დიდ აღიარებას.

საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაცია

მურმან, მერი, მურად გუგავები, დავით, დადაში, ჯონი, ზაზა, დავითულიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს **ზურაბ ნოდარის ძე ხეცურიანის** გარდაცვალების გამო.	გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ კოლექტივი თანაუგრძნობს ოჯახს **ზურაბ ნოდარის ძე ხეცურიანის** გარდაცვალების გამო.	ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დალი გაბიანს მეუღლის **გურამ ივანეს ძე ლეშკაშელის** გარდაცვალების გამო.

რედაქტორი **თამარ დავითულიანი**	პასუხისმგებელი მდივანი **მზევინარ ძნელაძე**	სარედაქციო კოლეგია: ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა ბენდელიანი	მისამართი: ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678	გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის სს „მანდარიას სტამბაში“ ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33 ტელ: 70780, 73499